დავით აფრასიძე

სახელმწიფოსა და ერის ფორმირება თანამედროვე საქართველოში: დაუსრულებელი პროექტი?

შესავალი

მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო პოლიტიკაში რამდენიმე პარალელური და ურთიერთსაპირისპირო პროცესის დაკვირვება შეიძლება: ესაა ინტეგრაციისა და ფრაგმენტაციის პროცესები, რომელიც, ხშირად, „გლობალიზაციისა" და „ეთნიზაციის" ცნებებით აღინერება.[1] ერთი მხრივ, ხდება საერთაშორისო ბაზრების ფორმირება, კომუნიკაციის საშუალებების გლობალიზაცია, იზრდება პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდამოკიდებულება. მეორე მხრივ, ამგვარ პირობებში, ცალკეულ პოლიტიკურ სისტემებში ადგილი აქვს მრავალმხრივ ტრანზიციებს – პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა საზოგადოებრივი სისტემების თანადროულ გარდაქმნებს, რომელსაც თან ლოკალური თვითშეგნების გაზრდა მოსდევს. ეს პროცესები შეიმჩნევა ე.წ. დასავლეთ ევროპის განვითარებულ სამყაროშიც, თუმცა განსაკუთრებით გამოკვეთილია ყოფილი სოციალისტური და საბჭოური ქვეყნების შემთხვევებში. ამ ქვეყნებიდან ცალკეულის განსაკუთრებულობას ზრდის შემდეგი გარემოება: პოლიტიკური სისტემის გარდაქმნა და ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება მიმდინარეობს მთავარი პრერეკვიზიტების – სახელმწიფოსა და პოლიტიკური ერის პარალელური ფორმირების პირობებში. ამ ქვეყნებში ფაქტობრივად ახლა ირკვევა, თუ რა გეოგრაფიული სივრცე შეიძენს პოლიტიკურ და ეკონომიკურ განზომილებას და ვინ იქნება ამ სისტემების მაკონსტრუირებელი.

საქართველო ამ მრავალმხრივი გარდაქმნების ყველაზე ნათელი მაგალითია: საერთაშორისო სტრუქტურებში აქტიური ინტეგრაციის პარალელურად, 1990-იანი წლებიდან დღემდე პაუსხგაუცემელია

სახელმწიფოსა და ერის მშენებლობის საკვანძო კითხვები – სად, რა გეოგრაფიულ სივრცეში იქმნება საქართველოს სახელმწიფო და ვინ შეადგენს ქართველ ერს?

საკითხის ამგვარად დაყენება რამდენიმე დაშვებას ეყრდნობა: 1. ერი არის პოლიტიკური ერთობა, რომლის სრულფასოვანი კონსტრუირება მხოლოდ სახელმწიფოს კონტექსტშია შესაძლებელი; 2. შესაბამისად, ვიდრე არ დასრულებულა საქართველოს სახელმწიფოს ფორმირების პროცესი, არ დაბადებულა ქართველი ერიც. ეს პროცესი კი სწორედ ახლა მიმდინარეობს.

წინამდებარე ანალიზის მიზანია, გამოკვეთოს მთავარი გამონვევები ქართველი პოლიტიკური ერის ფორმირების გზაზე. უმთავრესი გამონვევა არის ქართველი ხალხის (საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანთა ერთობის) ჰომოგენურობის მიღწევა სულ მცირე პოლიტიკური კულტურის, ანუ პოლიტიკის მიზნებისა და საშუალებების მიმართ სუბიექტური დამოკიდებულების კუთხით. ზემოაღნიშნული ლოგიკის მიხედვით, ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ სახელმწიფოს ფორმირების პროექტის ნარმატების პირობებშია შესაძლებელი. აღნიშნულ პროექტს კი უმთავრეს გამონვევას უქმნის ეთნიკური კონფლიქტები. შესაბამისად, ქართველი პოლიტიკური ერის ფორმირების პროცესის შედეგი პირდაპირაა დაკავშირებული კონფლიქტების გადაწყვეტის შედეგთან.

აღნიშნული მსჯელობა ეყრდნობა სახელმწიფოსა და ერის ფორმირების (ნაციონალიზმის) სფეროში არსებული რამდენიმე თეორიული მიდგომის სინთეზს. ზოგადად, ესაა ერის კონსტრუქტივისტული და მოდერნისტული გაგება, კერძოდ, მისი დაკავშირება პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი მოდერნიზაციის პროცესთან.[2] ეს პროცესი განუყოფელია სახელმწიფოს – როგორც ძალაუფლების ინსტიტუტის ფორმირებისგან, რომელიც, თავის მხრივ, ძალისა და მისი ეკონომიკური საფუძვლების აკუმულაციის პროცესის წინასწარგანუზღვრელი შედეგია.[3] ეს მიდგომა არ უგულებელყოფს ეთნიკური ფაქტორის მნიშვნელობას, რადგან ცხადია, რომ სახელმწიფოს ფორმირება და ერების წარმოშობა უფრო „ადვილად" განხორციელდებოდა იქ, სადაც ამის კულტურული (ფართე გაგებით) ნანამძღვრები არსებობდა საერთო ენის, რელიგიისა თუ ტრადიციების სახით. „განუზღვრელობა" გულისხმობს სწორედ პროცესის შემთხვევით და დაუგეგმავ ხასიათს, სადაც ყველა ფაქტორს ენიჭება მნიშვნელობა. თუმცა, მეთოდოლოგიურად, მნიშვნელოვანია, ვაჩვენოთ ძალისა და

რესურსების კონცენტრაციის შედეგის გავლენა ძალაუფლების ინსტრუმენტების ფორმალიზაციაზე, რაც მოდერნული სახელმწიფოს შექმნით დასრულდა და რასაც, პარალელურად, ჰომოგენური საზოგადოების – პოლიტიკური ერის ფორმირება მოჰყვა.

სტატიის შემდეგ ნაწილებში მოკლედ აღვწერთ სახელმწიფოსა და ერის ფორმირების პროცესს ევროპაში, ამ პროცესის ლოკალურ შედეგებს ცალკეული იმპერიების პროვინციებში და საქართველოს ნიშაზე მდგარ თანამედროვე გამოწვევებს. როგორც ვნახავთ, დასავლური მოდელის გამოყენება შეიძლება საქართველოს შემთხვევასთან მიმართებაში, ისე რომ არ არსებობდეს ევროცენტრიზმში დადანაშაულების საფრთხე. მთავარი არგუმენტი ამ შემთხვევაში არის ის, რომ მოდერნიზაციის პროცესი, განსხვავებული შედეგების მიუხედავად, მსგავსად მიმდინარეობდა ევროპის აღმოსავლეთსა და დასავლეთში, ანუ საქართველოც ამ არეალში ხვდება. გელნერის მიხედვით, ნაციონალიზმის გავრცელების ოთხი ზონა არსებობს ევროპაში, სადაც ეს პროცესი სხვადასხვა დროს განვითარდა: დასავლეთი (დინასტიური სამეფოები ატლანტის ოკეანის სანაპიროზე), ცენტრალური ევროპა (ყოფილი რომის საღვთო იმპერია), ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა (ავსტრიისა და ოსმალეთის იმპერიები), აღმოსავლეთი ევროპა (ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიები). მეოთხე ზონაში არანაციონალისტური ნესრიგიდან ნაციონალისტურზე გადასვლა მთელი მე-20 საუკუნე გაგრძელდა და არც 21-ე საუკუნეშია დასრულებული.[4]

სახელმწიფოსა და ერის ფორმირება ევროპაში: ძალის კონცენტრაციიდან ძალადობაზე მონოპოლისტ სააგენტომდე

ერები სოციალური კონსტრუქტია და იგი, განსაკუთრებით, მე-19 საუკუნის (პოლიტიკური) მოდერნიზაციის შედეგია. ერები და ერი-სახელმწიფო, როგორც სახელმწიფოს მოდერნული ფორმა, რომელიც ტერიტორიულ სახელმწიფოს ჩაენაცვლა, პოლიტიკური მმართველობის ტრანსფორმაციის განუზღვრელი (წინასწარდაუგეგმავი) თანაპროდუქტია. იგი განხორციელდა ტერიტორიული სახელმწიფოს გარდაქმნის პარალელურად, ტექნოლოგიური და საზოგადოებრივი მოდერნიზაციის პირობებში. გელნერი საუბრობს ზოგად მოდერნიზაციაზე მაშინ, როცა ჰობსბაუმი, ვინროდ, პოლიტიკური მმართველობის საკითხებს

ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.[5] ამასთან, გადაჭარბებულია ჰობსბაუმის სტრუქტურალისტური ახსნა, რომ ნაციონალისტური იდეოლოგიის ძირითადი მიზანი მმართველი კლასის მიერ სოციალური ცვლილებების პირობებში მართულ ფენებზე კონტროლის შენარჩუნება იყო. მართალია, რომ ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში ირღვევა საზოგადოების ტრადიციული ძაფები – ადრე თუ საზოგადოება ნუკლეარულ ხასიათს ატარებდა, ინდუსტრიულმა რევოლუციამ გამოიწვა მიგრაცია, ტრადიციული ერთობა აღარ არსებობს, მას უნდა ჩაენაცვლოს „ეროვნული ერთობა“. ასეთ პირობებში, ნაციონალიზმის იდეოლოგია თავისი „გამოგონილი ისტორიებით“ საზოგადოების კონტროლისა და არსებული პოლიტიკური მმართველობის ლეგიტიმაციის ფუნქციას იძენს. რა თქმა უნდა, ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის უკან ძალაუფლების ლოგიკა მართლაც იკითხება, ოღონდ არა ვიწროდ კლასობრივი. პირიქით, ნაციონალიზმი თავიდან მჭიდრო კავშირში იყო ლიბერლაზმთან, რომელიც, სტრუქტურალისტური გაგებით, ახალი, ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგია იყო. ნაციონალიზმისა და კონსერვატიზმის შერწყმა (ანუ ნაციონალიზმის იდეოლოგიურ იარაღად გადაქცევა) მხოლოდ მოგვიანებით, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ევროპაში ერი-სახელმწიფოების საბოლოოდ გაფორმების დროს მოხდა.[6]

ნაციონალიზმის მხოლოდ „იდეოლოგიურ პროექტად“ წარმოდგენა ეწინააღმდეგება ნაციონალიზმის პროცესის განუზღვრელობის დაშვებას, რომლის მიხედვით სახელმწიფო და ერი პოლიტიკური მოდერნიზაციის თანაპროდუქტებია. როცა ვსაუბრობთ წინასწარდაუგეგმაობაზე, იგულისხმება, რომ პოლიტიკური ტრანსფორმაციის თავდაპირველი მიზნები, ისევე როგორც ეს ისტორიაში ძირითადად ხდება, სხვა იყო, ვიდრე ერისა და ერი-სახელმწიფოს ფორმირება. უფრო სწორად, იგი ნაციონალიზმის საკმაოდ ზოგადი და ბუნდოვანი მიზნისაგან განსხვავებით, საკმაოდ კონკრეტული და იმ დროისთვის ნაცნობი იყო. ფეოდალური სამყაროს პირობებში პოლიტიკური ერთეულები (ნებისმიერი ფორმის, იქნებოდა ეს იმპერია, ქალაქ-სახელმწიფო თუ ფეოდალური სამეფო) ცდილობდნენ მზად ყოფილიყვნენ ფეოდალური სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქციის შესასრულებლად – ომის საწარმოებლად. შუა საუკუნეების ევროპაში ნებისმიერი პოლიტიკური ერთეული იძულებული (თავდაცვის კუთხიდან) ან მზად (თავდასხმის ლოგიკიდან) იყო, ეწარმოებინა ომი. ეს იყო მათი არა

მხოლოდ ლეგიტიმური უფლება, არამედ მოვალეობაც, რადგან ვასალური სისტემა სწორედ უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე აიგებოდა და ამით განსხვავდებოდა ბუნებითი მდგომარეობიდან.

ომების წარმოებისთვის საჭირო იყო რესურსი. რესურსის ორი წყარო არსებობდა: 1. ფინანსები, რათა დაექირავებინათ ლაშქარი და 2. ფეოდალური ბეგარის გზით ლაშქრის შეკრება (ვასალი ფეოდალები კრებდნენ ლაშქარს საკუთარი პატრონისათვის). პირველ გზას უფრო სავაჭრო ქალაქები მიმართავდნენ (შდრ. იტალია, სადაც პროფესიონალი მეომრების მთელი კასტა არსებობდა), ხოლო მეორე გზა უფრო ფეოდალური ტერიტორიული მონარქიებისთვის იყო დამახასიათებელი. თუმცა, ფულს ისინიც სესხულობდნენ, რათა საკუთარი ძალები დაქირავებული რაზმებითაც გაეძლიერებინათ. დროთა განმავლობაში, მოსახლეობის ზრდისა და შემჭიდროების პარალელურად, ომების რაოდენობა და მასშტაბები გახშირდა. ამასთან, სულ უფრო აშკარა ხდებოდა არა მხოლოდ ომის, არამედ ომისთვის მზადებისა და ომისშემდგომი ეტაპების მნიშვნელობა. პირველ შემთხვევაში, სტრატეგიული უპირატესობა ჰქონდა მას, ვინც უფრო დროულად იჭერდა ომისთვის თადარიგს. მეორე შემთხვევა უფრო საინტერესოა: ადრე, დაპყრობილ ტერიტორიებზე მმართველობის აპარატის არსებითი ცვლილება არ ხდებოდა: მაგ. თუ ციხის პატრონი დროულად დაუზავდებოდა მომხვდურს, იგი განაგრძობდა მართვას და მისი ქვეშევრდომებიც დიდად არ ინაღვლებდნენ, ესპანეთის თუ საფრანგეთის მეფე იქნებოდა მათი სუვერენის სუვერენი.[7]

რაც უფრო მეტი ომი ხდებოდა, მით უფრო დიდი იყო პოლიტიკური ძალის დაინტერესება რესურსების მიმართ. ამანვე განაპირობა რეგულარული არმიის გაჩენა და პროფესიონალი სამხედროების ჩამოყალიბება, რაც, საბოლოოდ, მხოლოდ ერი-სახელმწიფოს პირობებში გაფორმდა. რესურსებზე გაზრდილი მოთხოვნა პოლიტიკურ ცენტრს თანდათანობით აიძულებდა, მართვის ირიბი, გასაშუალებული სტილიდან პირდაპირზე გადასულიყო.[8] პოლიტიკური ცენტრი იწყებს რუდიმენტული ბიუროკრატიის მშენებლობას, რომელიც ჯერ გადასახადის აკრეფაზე კონტროლით, შემდეგ კაპიტალის გადანაწილებისა და, ბოლოს, წარმოების პროცესშიც ერევა – იქმნება კომუნიკაცია (გზა, ფოსტა, ტელეგრაფი). სახელმწიფო უკვე ერევა საზოგადოებისა და ინდივიდის ლოკალურ სფეროებში, რაც ადრე ტრადიციებით წესრიგდებოდა.

რა არის პირდაპირი მმართველობის გაჩენის მთავარი შედეგი? ძალის კონცენტრაციაზე მიმართულ ნაბიჯები ქმნის ძალადობაზე მონოპოლისტ სახელმწიფოს, რომელიც უკვე აღარ ეგუება პოლიტიკური მართვის დივერსიფიცირებულ, ფეოდალურ მოდელს, სადაც სხვადასხვა ლოკალურ დონეზე შეიძლება სხვადასხვა ტიპის „მართვა“ არსებობდეს. პოლიტიკური მმართველობის ჰომოგენიზაცია ხელს უწყობს საზოგადოების ჰომოგენიზაციას. ერთიანი ბიუროკრატია შეუძლებელია წერა-კითხვის ცოდნისა და ერთიანი ენის გარეშე. სახელმწიფო ინყებს ზრუნვას განათლების ელემენტარულ სისტემაზე. განათლების სისტემა, პირველ ეტაპზე სამხედრო სასწავლებლები, ხელს უწყობს საზოგადოებრივ მობილობას – ჩნდება სოციალური ფენებს შორის მოძრაობის პირველი შესაძლებლობები და მოტივაცია.

ამ პროცესს სახელმწიფო ახალა უკვე განზრახ უწყობს ხელს – ამუქებს ისტორიულ რეალობებს თუ თხზავს ისტორიულ მითებს; ქმნის ახალ სიმბოლოებს – ეროვნული დროშა, ეროვნული ჰიმნი, ეროვნული არქიტექტურა; აძლიერებს საზოგადოების ჰომოგენურობის რწმენას – სასკოლო განათლების მთავარი მიზანი ხდება პატრიოტების აღზრდა. ახლა ნაციონალიზმი მართლაც იდეოლოგიაა ელიტის ხელში, რომელიც საკუთარი იდენტობის მასებში გავრცობას უწყობს ხელს.

ეს რომ ადვილი პროცესი არ იყო, კარგად ჩანს საფრანგეთის რევოლუციის მაგალითზე. 1793-94 წწ. ათეული ათასი ადამიანი შეიწირა რევოლუციურმა ტერორმა მხოლოდ იმიტომ, რომ იაკობინელებმა ამ გარდაუვალი ცვლილებების ძალიან სწრაფი განხორციელება განიზრახეს. გლეხები ვანდეაში, მაგრამ ასევე სხვა პროვინციებში არ ურიგდებოდნენ სახელმწიფოს ასეთ ინჟინერიას. როგორც ჩანს, მათ ხელს უწყობდნენ ადგილობრივი ელიტებიც, რომელთათვის ეს გამონვევა ეგზისტენციალური ხასიათის იყო. მართალია, საბოლოოდ, იაკობინელები თავისიევე გილიოტინის მსხვერპლი გახდნენ, მაგრამ შედეგად საფრანგეთმა გაასწრო ყველა ევროპულ ქვეყანას ერი-სახელმწიფოსა და ერის ფორმირებაში. უნდა ითქვას, რომ მე-19 საუკუნის ბოლომდე მასები არ არიან ნაციონალიზმით დაინტერესებულნი. იტალიისა და გერმანიის პოლიტიკური გაერთიანების მიუხედავად, გერმანული და იტალიური ნაციონალიზმი მასობრივ მასშტაბებს მხოლოდ პოლიტიკური ხელისუფლების აქტიური მცდელობით აღწევს. კულტურული

ნაციონალიზმი დამახასიათებელია ელიტებისთვის, ხოლო მასები ისევ რეგიონული იდენტობების ერთგული რჩებიან.[9]

სახელმწიფოების ფორმირება ევროპაში და ლოკალური შედეგები

ერი-სახელმწიფოების ფორმირებამ დაასრულა წინარე პოლიტიკური ერთობების არსებობა – ქალაქ-სახელმწიფოები და სამთავროები ერი-სახელმწიფოს ნაწილებად იქცნენ, ხოლო იმპერიები დაიშალნენ. თუმცა, წინასწარგანსაზღვრული არც ეს პროექტი იყო, რაც ნათლად აჩვენებს პრიმორდიალური მიდგომის სიმცდარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ შეიძლება აიხსნას ისეთი მინისახელმწიფოების გადარჩენა, როგორიცაა ანდორა, სან-მარინო, მონაკო, ლიხტენშტაინი; ისეთი მულტიეთნიკური ქვეყნის წარმატება, როგორიცაა შვეიცარია? საკითხავია, რატომ არ „გადარჩა“ ბავარია და პირიქით, ერთიანი გერმანიის მიღმა დარჩა ავსტრია? ეს მაგალითები აჩვენებს, რომ ერი-სახელმწიფოს და, შესაბამისად, პოლიტიკური ერის ფორმირებას, პირველ რიგში, არა კულტურული საფუძვლები, არამედ პოლიტიკური პროცესები განსაზღვრავდა.

კულტურული ნანამძღვრები შედარებით მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა იმ რეგიონებში, ძირითადად ეს იმპერიები იყო, სადაც პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესი ცენტრის მხრიდან წარმატებულად ვერ განხორციელდა. ასეთ შემთხვევებში, ლოკალურმა ერთობებმა (ელიტების და არა მასების დონეზე!) გაითავისეს ცენტრიდან მიღებული მოდერნიზაციის მექანიზმები, მაგრამ იგი საკუთარი იდენტობების გასაძლიერებლად გამოიყენეს. მათ ხელს უწყობდა იმპერიების მარცხიც საერთოევროპულ ომებში – ესპანეთის მარცხს და დასუსტებას მოჰყვა ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩამოყალიბება, ავსტრიისა და ოსმალეთის დაკნინებას და მარცხს I მსოფლიო ომში – აღმოსავლეთი ევროპის ფორმირება. იმპერიული რუსეთის ნაწილობრივი დაშლის შედეგად ყალიბდება ისეთი ერებიც კი, რომლებიც ძლიერ ეთნიკურ საფუძველს საერთოდ მოკლებულნი იყვნენ – მაგალითად ფინეთი, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა გამოდგება. ალბათ, პრაქტიკული თვალსაზრისით, უსარგებლოა ვიკითხოთ, იქნებოდა კი ქართული ნაციონალიზმი ქართული პოლიტიკური ერის შემოქმედი,

1917 წელს რევოლუციას ბოლშევიკური გადატრიალება რომ არ მოჰყოლოდა და რუსეთი არ დაშლილიყო, თუნდაც დროებით?

დასავლეთ ევროპაში ტერიტორიულმა სახელმწიფოებმა მოახერხეს მოდერნული სახელმწიფოების ფორმირება და პოლიტიკური ერის კონსტრუირება მეტნაკლებად „ტრადიციულ“ საზღვრებში, მაშინ როცა აღმოსავლეთ ევროპაში იმპერიების მიერ იმავე ლოგიკით ნარმოებულმა მოდერნიზაციამ ახალი პოლიტიკური რუკის შექმნას შეუწყო ხელი. პროცესი, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოს ავსტრიის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების დაშლით დაიწყო, მე-20 საუკუნის ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლით გაგრძელდა და ამ სივრცეში ჯერაც არ დასრულებულა.

სახელმწიფოს მშენებლობა და ერის კონსტრუირება თანამედროვე საქართველოში

1917 წლის ოქტომბერში, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, ამიერკავკასიის ლიდერები რამდენიმე თვე ელოდნენ იმპერიის ცენტრში ვითარების გარკვევას და მხოლოდ 1918 წლის აპრილში გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, ისიც გარე ძალების ზეწოლით. იგივე მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემთხვევაში, არადა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში უკვე იკიდებდა ფეხს ეროვნული ცნობიერება.[10] ისევე, როგორც სხვა იმპერიების შემთხვევებშიც (იხ. ზემოთ), ქართულმა ნაციონალიზმმა ისწავლა მოდერნიზაციის იმ მექანიზმების გამოყენება, რომელიც, წესით, იმპერიის ჰომოგენური მოსახლეობის შექმნას უნდა მოხმარებოდა. ყველაზე თვალსაჩინო, ამ მხრივ, ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა იყო.

დამოუკიდებლობის სამი არასრული წელი არასაკმარისი აღმოჩნდა ქართველი პოლიტიკური ერის ფორმირებისათვის.[11] ამას დაემატა 1920-იანი და 1930-იანი წლების რეპრესიები, როცა ქართული ნაციონალიზმის იდეის მატარებელი ფენა ფაქტობრივად განადგურდა. ნაციონალიზმის ახალი ტალღა საქართველოში უკვე საბჭოთა ხანაში იწყება და მისი მატარებელი საბჭოთა ინტელიგენცია და ნომენკლატურაა. განვითარების ლოგიკა აქაც იგივე უნდა ყოფილიყო, როგორც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, იმ განსხვავებით, რომ ახლა არსებობდა ნაციონალისტური იდეების მასობრივი გავრცელების

უკეთესი მექანიზმები სკოლებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სახით. 1960-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირი ჯერ სტაგნაციის, შემდეგ დეზინტეგრაციის ფაზაში გადადის. შესაბამისად, ჰომოგენური საბჭოთა ერის ფორმირების მექანიზმებს – ბიუროკრატია, განათლების სისტემა, უკვე ლოკალური მომხმარებელი უჩნდება. 1960-იანი წლებიდან ადგილობრივი ნომენკლატურა და ინტელიგენცია სულ უფრო „ნაციონალური" ხდება, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათი კარიერული განვითარების მიღებულ საზღვრად რესპუბლიკის საზღვრები იქცა. ამაე ლოგიკის გამოვლინებაა პატრიოტული თემებისადმი მიძღვნილი ძეგლები, პროზა, პოეზია. და, რაც მთავარია, სკოლის სახელმძღვანელოები. ალბათ, ცალკე კვლევას საჭიროებს ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში ნაციონალური ისტორიის სახელმძღვანელოები თითქმის დიამეტრულად ურთიერთგანსხვავებულ ხედვებს სთავაზობდნენ სკოლის მოსწავლეებს.

1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ძალაუფლების ეროზია დაიწყო და ნაციონალისტური იდეების პროპაგანდა უკონტროლო გახდა, ამ იდეებს უფრო დიდი მასობრივი მხარდაჭერა აღმოაჩნდა, ვიდრე ეს მე-20 საუკუნის დასაწყისში იყო. ამასთან, ირედენტიზმი განსაკუთრებით იმ რეგიონებში გამოვლინდა, სადაც პოლიტიკური ინსტიტუტების თუნდაც ფორმალური ჩანასახი უკვე არსებობდა – მოკავშირე რესპუბლიკების გარდა ეს იყო ეთნიკური ავტონომიები.[12] ალბათ, ესეც ადასტურებს იმ დაშვებას, რომ ნაციონალიზმი მასობრივი სწორედ პოლიტიკური ერთობის პირობებში ხდება.

1990-იანი წლებიდან დღემდე ქართველი ერის ფორმირების ორი მცდელობა იკვეთება.[13] პირველი, გამსახურდიას პერიოდი, როცა ქართველი ერის პოლიტიკური კონსტრუირება ეთნოცენტრული ნაციონალიზმით დაიწყო და რასაც, სულ მცირე, ორი კონტრპროექტის ამოქმედება მოჰყვა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, კრახით დასრულდა. ამასთან, სხვადასხვა სოციალური სისტემების (განათლება, ტერიტორიული ადმინისტრაცია, კომუნიკაცია) გარდაქმნა, მართალია, მხოლოდ ჩანასახოვან სტადიაში იმყოფებოდა, მაგრამ იგი მაინც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ქართული საზოგადოებისათვის ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი შეუქცევადი გამხდარიყო. მეორე, საკაშვილის პერიოდი, როცა ქართველი ერის პოლიტიკურ კონსტრუირებაში ნინ ნამოიწია პოლიტიკურმა (სამოქალაქო) ნაციონალიზმმა

და სახელმწიფომ უფრო მომზადებულად დაიწყო საზოგადოებრივ სივრცეში ინტერვენცია, ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

საინტერესოა, რომ სახელმწიფოსა და ერის მშენებლობის ლოგიკა და რიტორიკა თანამედროვე საქართველოში ბევრ ასპექტში იმეორებს ევროპულ გამოცდილებას. სახელმწიფო სიმბოლიკის გარდა, თვალსაჩინოა სახელმწიფოს ძალისხმევა განათლების სისტემის რეფორმის, ადმინისტრირების ცენტრალური და ტერიტორიული სტრუქტურების ეფექტიანობის გაუმჯობესების, საგადასახადო რეფორმის კუთხით. განსაკუთრებით საგულისხმოა სახელმწიფო ზრუნვა რესურსების მობილიზებაზე და მისი დიდი ნაწილის მიმართვა სამხედრო უნარებზე.[14] საქართველო დღეს სახელმწიფოს მიერ მართული ნაციონალიზმის ეტაპზე იმყოფება. ამასთან, თუ დავეყრდნობით, ერთი მხრივ, დაშვებას სახელმწიფოსა და ერის ფორმირების პროექტების განუზღვრელობის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, გავითვალისწინებთ ორი კონფლიქტური კერის არსებობის ფაქტს, ნათელია, რომ ჯერ კიდევ ნაადრევია საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის საბოლოო კონტურებზე საუბარი.

დასკვნა

ევროპის რეგიონში ერი-სახელმწიფოსა და ერის ფორმირება ისტორიული შემთხვევითობის შედეგი აღმოჩნდა. სახელმწიფოები წარმოიშვა ცალკეულ ტერიტორიულ პოლიტიკურ ერთეულებში ძალის კონცენტრაციის გზით, რაც, თავის მხრივ, გახშირებული საომარი მოქმედებებით იყო განპირობებული. ომისათვის მზადების, საომარი მოქმედებების წარმოებისა და პოსტსაომარი ვითარების მართვისათვის საჭირო რესურსების მობილიზაცია თანდათანობით აპირობებდა სამოქალაქო ბიუროკრატიისა და სამხედრო ვერტიკალის ფორმირებას. პარალელური ეკონომიკური და საზოგადოებრივი მოდერნიზაციის პირობებში იზრდებოდა ამ პროცესებში მასობრივი მონაწილეობა. გარკვეულ ეტაპზე, ჩამოყალიბებული სახელმწიფოები განზრახ უწყობდნენ ხელს საკუთარი მოსახლეობის ჰომოგენიზაციას განათლების სისტემის, მართვის პირდაპირი სტრუქტურების შემოღების გზით. იქ, სადაც ეს პროექტი წარმატებით ხორციელდებოდა, ლოკალური იდენტობები ადგილს უთმობდა ნაციონალურს, ხოლო სადაც ცენტრის ჩარევა არასისტემური და სუსტი იყო, ხოლო ლოკალური განსხვავებები დიდი – ჩარევის მექანიზმებს ლოკალური ელიტა სა-

კუთარი პროექტის განხორციელებისთვის იყენებდა. არც ერთ შემთხვევაში ეს პროცესი არ ყოფილა უმტკივნეულო, მას თან ახლდა სისხლისღვრა, რაც ისტორიამ მოგვიანებით კონტრრევოლუციად ან გამათავისუფლებელ მოძრაობად მონათლა. განვითარების მეორე გზა უფრო დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთ ევროპაში არსებული იმპერიებისათვის – მე-20 საუკუნის დასაწყისში ავსტრიის, ოსმალეთისა და ნაწილობრივ რუსეთის იმპერიების საფუძველზე აღმოცენდა კიდეც ახალი ერი-სახელმწიფოები და ერები, რომელთაგან რამდენიმეს ეროვნული თვითშეგნება მხოლოდ ამის მერე ჩამოუყალიბდა. რუსეთის იმპერიამ სახეცვლილად არსებობა განაგრძო მე-20 საუკუნის ბოლომდე და თავისი დაშლით ნაციონალიზმის ახალ ტალღას დაუდო საფუძველი. საქართველოში ერი-სახელმწიფოსა და ერის ფორმირება დაუკავშირდა ეთნიკურ კონფლიქტებს. საბჭოთა საქართველოში განვითარებულმა ეთნიკური ნაციონალიზმის პროექტმა ვერ მოიცვა სულ მცირე ორი რეგიონი – აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი. ეს ორი რეგიონი მოწყვეტილი რჩება დღეს მიმდინარე, უფრო პოლიტიკური ნაციონალიზმის პროექტისაგანაც. პროექტის შედეგი დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენ ხანს შენარჩუნდება სტატუს ქვო და რა იქნება საბოლოო შედეგი.

---

1 Ulrich Menzel, *Globalisierung vs. Fragmentierung,* Frankfurt am Main 1998.

2 ერნესტ გელნერი, *ერები და ნაციონალიზმი*, თბილისი, 2003.; Eric J. Hobsbawm, *The Nations and Nationalism Since 1870: Program, Myth, Reality,* Cambridge 1983; ბენედიქტ ანდერსონი, *წარმოსახვითი საზოგადოებანი: მოსაზრებანი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ*, თბილისი, 2003).

3 Charles Tilly, *Coercion, Capital, and European States AD 990-1992,* Malden, MA 1992.

4 ციტირებულია ზურაბ დავითაშვილი, *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია*, თბილისი 2003, გვ. 120-121.

5 ერნესტ გელნერი, *ერები და ნაციონალიზმი*; Eric J. Hobsbawm, *The Nations and Nationalism Since 1870.*

6 John Meriman, *A Hisory of Modern Europe: From the French Revolution to the Present, Volume 2,* New York-London 2004, p. 707-745.

7 შდრ. Charles Tilly, *Coercion, Capital, and European States AD 990-1992,* p. 67-95;

8 Ibid, p.103-107;

9 John Meriman, *A Hisory of Modern Europe: From the French Revolution to the Present, Volume 2,* p. 707-745.

10 მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართული ნაციონალიზმის შესახებ იხ. Ronald G. Sunny, *The Making of the Georgian Nation,* Bloomington and Indianapolis 1994, p. 113-208.

11 ბალტიისპირეთის ქვეყნების შემთხვევაში დამოუკიდებლობის 20-წლიანი პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა ძლიერი ეროვნული იდენტობების გაჩენისათვის.

12 საინტერესოა, რომ ასეთივე „საზღვრად" განიხილავენ ეთნიკური ავტონომიების ფარგლებს ავტონომიის ჩინოვნიკები და ინტელიგენცია. ავტონომიის, როგორც ირედენტული ნაციონალიზმის ხელშემწყობის შესახებ იხ.. Svante E. Cornell, «Autonomy as a Source of Conflict», in: *World Politics* 54, January 2002, p. 245-276.

13 შევარდნაძის პერიოდი უგულებელყოფილია, რადგან იგი ერის კონსტრუირების მხრივ არ აქტიურობდა, გაურბოდა სახელმწიფოს პირდაპირ მმართველობას და პოლიტიკური მართვის გაშუალებულ გზას ირჩევდა. ამის ნათელი მაგალითია ასლან აბაშიძის რეჟიმის, ასევე სხვა რეგიონული კლიენტელური ქსელების მიმართ შემწყნარებლობა.

14 შდრ. სამხედრო ბიუჯეტის ზრდა 2002 წელს 50 მლნ ლარიდან 2007 წელს 1 მლრდ ლარამდე.